

ინტერვიუ

„საქართველო ალიანსის წევრობისთვის მზად არის, ჩვენი სამხედროების მზადყოფნით თუ ვიმსჯელებთ“

ალექსი პეტრიაშვილის თქმით, ნაგოს ვარშავის სამიგზე უნდა გადაწყდეს დასჭირდება თუ არა საქართველოს „მაპ“-ი ალიანსში გასაწევრიანებლად

იაგო ნაცვლიშვილი

„პუტინის გზავნილი მსოფლიოსთვის იყო, რომ სახიფათო მდგომარეობაშია და მასთან ურთიერთობას შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს. მაგრამ რუსეთი ეკონომიკურად დასუსტებულია და ხანგრძლივად ამ ავანგურაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია სირიაში სახმელეთო ოპერაციებისთვისაც ემზადება. თუ სცენარებს განვიხილავთ ეს ოპერაცია 1979 წლის კლასიკური ავღანური ისტორიის გამეორებაა“, - აცხადებს „რემონანსთან“ საუბრისას „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, ევროინტეგრაციის ყოფილი მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი.

პეტრიაშვილი საქართველოს როლზეც საუბრობს და ამბობს, რომ ამჟამად საფრთხის წინაშე არ ვდგავართ, მაგრამ საჭიროა სიფხიბლე.

ექს-მინისტრი ნაგოს შესახებაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ 2016 წლის ვარშავის სამიგზე სიცხადე უნდა გახდეს. საქართველო ნაგოს წევრი გახდება „მაპ“-ის გარეშე თუ დადებითი შეფასებების მიუხედავად სამოქმედო გეგმა მაინც დასჭირდება. პეტრიაშვილის აზრით დეკემბერში ნაგოს საგარეო საქმეთა მინისტრიალზე თუ გაცხადდა რომ მონტენეგრო გახდება ნაგოს ახალი წევრი ეს ალიანსის გაფართოებას ნიშნავს და ეს გადაწყვეტილება საქართველოსთვისაც მომგებიანია.

ალექსი პეტრიაშვილი: ისევე როგორც ყველა ცხელ წერტილში, რომელიც ახლა არსებობს რუსეთი სირიაშიც დესტრუქციულ როლს თამაშობს. ცხელი წერტილებიდან ასევე უნდა გამოვიყო უკრაინა და საქართველო. საქართველოს ტერიტორიების 20%-ზე მეტი ოკუპირებული აქვს რუსეთს და ყოველდღიურად ხდება ჩვენი ტერიტორიებიდან ჩვენივე მოქალაქეების გაგაცემა. ასევე ხდება მცოცავი ოკუპაცია მის მიერ. ასეთივე დესტრუქციულ როლს თამაშობს რუსეთი სისრიაშიც.

რუსეთს იმის მცდელობა აქვს, დაამტკიცოს რომ მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი მოთამაშე ისიც არის და ისიც უფლებამოსილია ყველა მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევაში მიიღოს მონაწილეობა და აქედან მოგება ნახოს.

სირიაში ვითარება საკმაოდ მძიმდება რუსეთის მხრიდან. პირველ რიგში ეს ხდება იერიშების მიგანის შედეგად. როგორც ნაგოს წევრი სახელმწიფოები ამბობენ რუსეთი არათუ ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებს ბომბავს, არამედ მშვიდობიან მოქალაქეებსა და ზომიერი ოპოზიციის პოზიციებს.

შესაბამისად რუსეთს უნდა ძალის დემონსტრირება იმისათვის, რომ კონკრეტული ვითარებიდან ნახოს სარგებელი. პროცესების ასეთი სცენარით განვითარებამ, შესაძლოა უკიდურეს დაძაბულობამდე მიიყვანოს საერთაშორისო ურთიერთობები. ისედაც არამყარი, ფეთქებადსაშიში ვითარებაა და რუსეთი ცდილობს კიდევ უფრო მეტად გაამწვავოს სიტუაცია. ეს არის მისი ახალი ავანგურა.

საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია ნათელია ასადის რეჟიმის მიმართ. ამ ვითარებაში რუსეთმა საპირისპირო პოზიცია დაიკავა და რეჟიმს მხარს უჭერს. კრემლი ასეთი ტიპის მხარდაჭერას ახდენს. საბოლოო ჯამში ეს ყველაზე მეტად თავად რუსეთს დააზიანებს. რა თქმა უნდა მარალდებიან აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც ამ დაბომბვის შედეგად იღუპებიან.

ვფიქრობ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გააძლიეროს დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგას. ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობის გამო რუსეთის ხელისუფლება აგონიაშია. დასავლეთმა პუტინის ხელისუფლება უნდა შებოჭოს, რათა შემდგომში არ გახდეს გამოუვალი მდგომარეობა და კიდევ უფრო დაძაბულობის კერა არ შეიქმნას.

„რეზონანსი“: გგონიათ, რომ რუსეთი თვითნებურად მოქმედებს და მსოფლიოს მთავარ მოთამაშეებში მას არ ჰყავს მოკავშირეები?

ა.პ.: ამასში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. საბოლოო ჯამში რუსეთს კოვში ნაცარში ჩაუვარდა, ვგულისხმობ უკრაინაში ჩაგარებულ ოპერაციას. ახლა ის იძულებულია საკუთარი ძალის დემონსტრირებისთვის ასეთი ნაბიჯები გადადგას.

ერთი პარალელის გავლება შეიძლება. ალბათ გახსოვთ, როდესაც კოსოვოში რუსმა სამხედროებმა რეიდი მოაწყვეს. კიდევ უფრო მძიმე პარალელის გავლებაც შეიძლება თუკი ამას კარიბის კრიზისს შევადარებთ. მაგრამ დღევანდელი რუსეთი გაცილებით უფრო სუსტია. მაგრამ არანაკლებ სახიფათო, ვიდრე თავის დროზე საბჭოთა კავშირი იყო.

„რ“: რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ხვდება აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას და პრეზიდენტულად მეორე დღესვე აცხადებს პუტინი რომ სირიაში ოპერაციის დაწყებას აპირებს. რა გზავნილი იყო რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან მსოფლიოსთვის?

ა.პ.: მუტად ის, რაზეც ვისაუბრეთ. როგორც ექსპერტები, საერთაშორისო მედია, ანალიტიკოსები აფასებენ შეხვედრას ეს იყო ჩავარდნა. როგორც ამბობენ ეს იყო ვლადიმერ პუტინის ბოლო ვიზიტი აშშ-ში და ეს იყო კარის გაჯახუნება მისი მხრიდან. არა აშშ-ის მიმართ, არამედ საერთაშორისო ცივილიზებული სამყაროს მიმართ.

ამით მან გააგზავნა გზავნილი რომ სახიფათო მდგომარეობაშია და მასთან ურთიერთობას შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს. მაგრამ რუსეთი ეკონომიკურად დასუსტებულია და ხანგრძლივად ამ ავანტურაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია სახმელეთო ოპერაციებისთვისაც ემზადება. თუ სცენარებს განვიხილავთ ეს ოპერაცია 1979 წლის კლასიკური ავღანური ისტორიის გამეორებაა.

„რ“: ბედმეტად ლიბერალურ დამოკიდებულებას ხომ არ იჩენს ნატო რუსეთის მიმართ?

ა.პ.: უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საჭირო. საჭიროა მეტი მხარდაჭერა ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიცაა საქართველო და უკრაინა. ვგულისხმობ მხარდაჭერას ამ ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის კუთხით.

არ შეიძლება რუსეთის თამაშის წესებში ჩაყოლა. ერთხელ თუ გაუვა თავს, მით უფრო აგრესიული ხდება. ამიტომ ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ უნდა გადააფასონ რუსეთის ამჟამინდელი მდგომარეობა და ადეკვატური ნაბიჯები გადადგან.

„რ“: ამ სიტუაციაში საქართველოს როლზე რას იცხვით? საფრთხე ჩვენც ხომ არ გვემუქრება?

ა.პ.: სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ რუსეთის ხელები ახლა დაკავებულია. მაგრამ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ჩვენი დედაქალაქიდან სულ რამდენიმე კილომეტრში დგას რუსეთის ჯარი, ამიტომ ჩვენ გვმართებს სიფრთხილე. მაგრამ ეს არცერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ტემპის შეჩერებას ნატოში ინტეგრაციის კუთხით. უნდა დავარწმუნოთ ჩვენი პარტნიორები საქართველოს ალიანსში გაწევრიანების აუცილებლობაში.

„რ“: რამდენად სწორად სრულდება ნატოს იმპლემენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები?

ა.პ.: იყო გარკვეული შეფერხებები, მაგრამ ბოლო ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა მოხარული ვარ ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან გაკეთებული შეფასებების გამო. ისმის დადებითი განცხადებები. ჩვენი გუნდი ამ პოლიტიკურ მიღწევაში მოწინავე იყო. ეს პაკეტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნატოში გაწევრიანებისთვის.

„რ“: ნატოს საგარეო საქმეთა მინისტგერიალი დეკემბერშია დაგეგმილი. რა მოლოდინი გვაქვს ამ მინისტგერიალისგან?

ა.პ.: ჩემი ინფორმაციით, დადებითი გადაწყვეტილება იქნება ღია კარის პოლიტიკის შესახებ. დიდი ალბათობით გადაწყვეტილებას მიიღებენ მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანების თაობაზე. ეს მნიშვნელოვანი გზავნილია და მომავალში უშუალოდ საქართველოს საკითხი დადგება დღის წესრიგში.

„რ“: ნატოს პრიორიტეტებს შორის მონტენეგროს შემდეგ საქართველოა?

ა.პ.: ამისთვის საჭიროა, რომ გაათმაგდეს მუშაობა. პირველ რიგში ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ საჭიროა მუშაობა ყველას მხრიდან. ძალიან სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი ნატოს წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში, იმისათვის რომ ვარშავის სამიგზე როგორც მინიმუმ ჩვენთვის სიცხადე დადგეს. ჩვენი ნატოში გაწევრიანების შუალედური ეტაპი ან მოიხსნას, ან საქართველოს მიენიჭოს ის ინსტრუმენტი, რომლის შემდეგაც საქართველო ძალიან სწრაფად უნდა გახდეს ნატოს წევრი.

„რ“: შუა ეტაპში „მეპ“-ს გულისხმობთ?

ა.პ.: რასაკვირველია. ჩვენი შეიარაღებული ძალების მზადყოფნით თუ ვიმსჯელებთ საქართველო ალიანსის წევრობისთვის მზად არის, ხოლო დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით სამუშაო უნდა გაგრძელდეს. ხარვეზები აღმოსაფხვრელია დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისითაც.

„რ“: თინა ხიდაშელი რასაც ამბობს, რომ საქართველოს „მეპ“-ის გარეშე შეუძლია ნატოში გაწევრიანება ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ვარშავის სამიგზე?

ა.პ.: ამისთვის აუცილებელია ნატომ მიიღოს გადაწყვეტილება. რის მოსამწიფებლადაც აუცილებელია აქტიური და სერიოზული მოსამზადებელი პერიოდი. ძალიან მნიშვნელოვანია თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტგრების აქტიურობა. დიპლომატიური რესუსრსის მაქსიმალურად გამოყენება. საერთოდ ამოცანა უნდა იყოს ევროპულ სახლში ჩვენი დამკვიდრება ჩვენი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის

გარანტიის მოპოვება. ამის ერთადერთი გარანტია ნაცოში გაწვევრიანებაა და აქეთკენ უნდა ვიყოთ მიმართული.